სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №2-006414-2012 √5-41
(საექსპერტო მომსახურების შესახებ)

31 აგვისტო 2012 წ.

ქუთაისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის (შემდგომში - ბიუროს საქმისწარმოების განყოფილების უფროსის **თეა აფხაიძის** სახით (ბიუროს უფროსის მიმწოდებელი) უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორეს მხრივ, 08.06.2012 წლის №99§9 ბრძანებით მინიჭებული **სსიპ ქ. ქუთაისის №22 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის** (შემდგომში-შემსყიდველი) **ლევან ბუაძის** სახით საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ პირველი მუხლის მე-3^1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე – 633-ე, 636-ე – 638-ე, 642-ე – 645-ე, 647-ე – 649-ე მუხლებით; "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით; „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაწქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ბიუროს უფროსის 2012 წლის 29 მაისის №91 §1 ბრძანებით; აგრეთვე ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული საექსპერტო მომსახურების გაწევა, ექსპერტის დასკვნის ან აქტის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაცემა. კერძოდ, სკოლის სარემონტო სამუშაოებზე.

მუხლი 4. საექსპერტო მომსახურების ვადა

1. მიმწოდებელი საექსპერტო კვლევას/გამოკვლევას იწყებს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მოსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება შემსყიდველის მომართვის დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.
3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გონივრული ვადა ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფების №№373-378, 380-383, 389-401 კოდებით გათვალისწინებულ საექსპერტო მომსახურებაზე.

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ ბიუროს უფროსის 2012 წლის 29 მაისის №91 §1 ბრძანების შესაბამისად.

4. ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის ბიუროს უფროსის 2012 წლის 29 მაისის №91 §1 ბრძანება - „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" (ბრძანებაში შეტანილი ყოველი ცვლილების შესახებ შემსყიდველს ეცნობება დამატებით).

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი	სსიპ ქ. ქუთაისის №22 საჯარო სკოლა
საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი" ც/ფ. ანგარიშის № GE59LB0121113150235001 ბანკის კოდი LBRTGE22 ს/კ: 204852089	ს/კ 212708346
საქმისწარმოების განყოფილების უფროსი თეა აფხაიძე	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ბუაძე
თარიღი: 31.08.2012	თარიღი: 31.08.2012